პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 21 (262)
პარასკევი,
25
სექტემბერი
1959 წ.
ფასი 20 კაპ.



სურათზე: ბიოლოგიის ფაკულტეტის ფიზიოლოგიის სპეციალობის III კურსის სტუდენტები ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე ლაბორანტ ნინო ნანობაშვილის (მარჯვნივ) მეთვალყურეობით ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოებს.

ფოტო ა. გემჯიანისა.

## ორგანიზებულად ჩავატაროთ ანგარიშგება-არჩევნები პროფკავშირულ ორგანიზაციებში

სკკპ XXI ყრილობამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება პროფკავშირულ ორგანიზაციებზე, მათ როლსა და ამოცანებზე როგორც წარმოებებში, ისე დაწესებულებებში. უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკავშირული ორგანიზაცია წარმოადგენს უდიდეს ძალას სტუდენტთა აღზრდისა და მათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში. სტუდენტთა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის სწორად წარმართვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩავატარებთ ანგარიშგება-არჩევნებს და როგორ შევარჩევთ პროფკავშირულ კადრებს ფაკულტეტებზე.

განვლილ ორწლიან საანგარიშო პერიოდში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს ფაკულტეტების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში. მიღწეულ წარმატებებთან ერთად აღნიშნული ორგანიზაციების მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებსაც, რომელთა შესახებაც ყურადღება უნდა გამახვილდეს ფაკულტეტების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და მათი გამოსწორება პირველი რიგის ამოცანად უნდა დაისახონ ახლად არჩეულმა პროფბიუროებმა. ჯერ კიდევ დიდია სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების არასაპატიო მიზეზებით გაცდენების შემთხვევები. ზოგიერთი ჯგუფხელი დაუდევრობას იჩენს თავისი მოვალეობის შესრულებისადმი, ხოლო პროფბიუროები ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

სტუდენტთა პროფკავშირული ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სიმაღლეზე იქნება დაყენებული ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. ამ საკითხს სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ განვლილ პერიოდში და კარგად მუშაობდნენ მექანიკა-მათემატიკის, ეკონომიური, ქიმიის და სხვა ფაკულტეტების პროფბიუროები. ცალკეულ ფაკულტეტებზე გასული ანგარიშგება-არჩევნების დროს ყურადღებით ვერ მოეკიდნენ პროფბიუროებში ასარჩევი კანდიდატების შერჩევას, რამაც გამოიწვია ის, რომ ზოგიერთი ფაკულტეტის პროფბიუროში შემთხვევითი ამხანაგები მოხვდნენ.

ფიზიკის ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარე ი. ვაშაყმაძე არჩევიდან დღემდე უპასუხისმგებლოდ ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას, იშვიათად იწვევს ბიუროს სხდომებს და არ იხილავს იმ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ფაკულტეტის წინაშე დგანან. ასევე ითქმის ბიოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტების პროფბიუროების მუშაობაზე (თავმჯდომარეები—გ. ნადირაძე და ბ. თუთარაშვილი).

კადრების არასწორად შერჩევის შედეგად ფილოლოგიის ფაკულტეტზე სამჯერ დაჭვეირდა სტუდენტთა პროფბიუროს თავმჯდომარის შეცვლა და, მიუხედავად ამისა, პროფბიუროს მუშაობაში მაინც აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სტუდენტთა პროფკომის წევრები: მ. ქანტურია, პ. მაისურაძე და გ. ერმაკი (ქიმიის, მექანიკა-მათემატიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები—შესაბამისად) იშვიათად ესწრებოდნენ პროფკომის სხდომებს და ფაქტიურად არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ მის მუშაობაში.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ის სერიოზული ნაკლოვანებები, რაც თავიანთ მუშაობაში გააჩნიათ უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკავშირულ ორგანიზაციებს, საჭიროა მიმდინარე ანგარიშგება-არჩევნების დროს პროფკავშირულ ხელმძღვანელ ორგანოებში არჩეულ იქნან ენერგიული და საქმის მოყვარული ამხანაგები და არა ისეთები, რომლებსაც ყოველდღიურად დასჭირდებათ თავიანთი მოვალეობის შეხსენება.

ფაკულტეტის პროფბიუროს მოვალეობა მარტო ბიუროს სხდომების ჩატარებაში როდი მდგომარეობს. მისი მოვალეობაა უხელმძღვანელოს ყველა იმ ამოცანის წარმატებით განხორციელებას, რომლებიც ფაკულტეტის ყოველდღიური ცხოვრების წინაშე დგანან.

პროფკავშირულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნებს ყოველთვის წინ უსწრებს პირველკურსელ სტუდენტთა პროფკავშირის რიგებში მიღება. ამ მხრივ დღეისათვის სერიოზული ნაკლოვანებები გაგვაჩნია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მექანიკა-მათემატიკისა და ეკონომიურ ფაკულტეტებს, დანარჩენ ფაკულტეტებზე პირველკურსელ სტუდენტთა პროფკავშირის რიგებში მიღების საქმე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ჩვენი ამოცანაა არ დავტოვოთ არცერთი პირველკურსელი პროფკავშირის რიგების გარეშე.

საანგარიშო-საარჩევნო კრება მნიშვნელოვანი ეტაპია პროფკავშირულ ცხოვრებაში. კრებაზე ყველა პროფკავშირელი მომზადებული უნდა გამოცხადდეს, საქმიანი მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში, გააკრიტიკოს არსებული ნაკლოვანებანი და კონკრეტული წინადადებანი წამოაყენოს მათს გამოსასწორებლად.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მაღალხარისხოვნად ჩატარება დიდად არის დამოკიდებული საანგარიშო მოხსენების შინაარსზე. საჭიროა პროფბიუროს სხდომაზე საანგარიშო მოხსენების დამტკიცების დროს ყურადღება მიექცეს მის ყოველ დეტალს, იმას, თუ რამდენად სწორად ასახავს იგი ჩატარებულ მუშაობას, წარმატებებს და ნაკლოვანებებს. არაკრიტიკულად შედგენილი საანგარიშო მოხსენება ბორკავს კრებაზე დამსწრეთა აქტივობას.

უნივერსიტეტში პროფკავშირული ანგარიშგება-არჩევნები უკვე დაიწყო, საკმაოდ მომზადებულად და კარგად ატარებენ პროფჯგუფორგების არჩევნებს მექანიკა-მათემატიკის, ეკონომიური და ქიმიის ფაკულტეტების პროფორგანიზაციები. პროფჯგუფორგების არჩევნების ჩატარების საქმეში მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ფიზიკის ფაკულტეტის პროფბიურო, რომელსაც დღემდე არაფერი გაუკეთებია არჩევნების ჩასატარებლად, ასევე ითქმის ფილოლოგიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტების პროფბიუროებზეც.

მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩავატაროთ უნივერსიტეტის პროფკავშირულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები, ასეთია ახლა ჩვენი ამოცანა.

ჩვენ გვწერენ

## რაღა საპატიოა?

საპატიო, ფრიადოსანთა დაფაზე ყველას სურათს როდი აკრავენ. ყველაზე უკეთესი სტუდენტები თუ დაიმსახურებენ ამ პატივისცემას. ასეა ყველგან, ასე იყო ჩვენთანაც—უნივერსიტეტში, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ცალკეული ფაკულტეტების მიერ მოწყობილმა საპატიო დაფებმა თავისი მნიშვნელობა დაჰკარგეს. რატომ?—იკითხავს მკითხველი. იმიტომ, რომ ეს დაფები რატომღაც კედლის დამამშვენებლადღა არიან შემორჩენილნი და ძველ ამბებს ისე გადმოგვცემენ, თითქოს ისინი დღევანდელი არიან.

აი ჩვენ ვიმყოფებით ისტორიის ფაკულტეტის ფრიადოსანთა დაფასთან. მასში მესამეკურსელებად არიან გამოცხადებული ლოლაძე, აფრიაშვილი, გელაშვილი, გოდერიძე, ბარბაქაძე, გუგუტიშვილი და გოგოლაძე.

აინტერესებს პირველკურსელებს ამ ფრიადოსნებთან შეხვედრა, მაგრამ ისინი უკვე ჩვენი სტუდენტები ხომ აღარ არიან?! მათ გასულ წელს დაამთავრეს უნივერსიტეტი. ასევე, უკვე აღარ არიან სტუდენტები ეკონომისტები—ფორჩხიძე, ნადირაშვილი, ქისტაური და კაკულია, ფილოლოგები—ფოფხაძე და მიტიჩაშვილი, დას. ევროპის ენებისა და ლიტ. ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტები—გ. სიხარულიძე და ნ. ბენაშვილი, მაგრამ შესაბამისი ფაკულტეტების ფრიადოსანთა დაფები დაჟინებით ამტკიცებენ მათს სტუდენტობას. ისტორიის ფაკულტეტის ფრიადოსანთა დაფაზე დღევანდელი მეოთხეკურსელები პირველკურსელებად, ხოლო მეხუთეკურსელები — მეორეკურსელებად გამოიყურებიან.

საინტერესოა, თუ დასახელებული ფაკულტეტების ხელმძღვანელებმა ფრიადოსანთა დაფების გადახალისება ვერ შეძლეს 2-3 წლის მანძილზე, მათი ჩამოხსნა ხომ მაინც შეიძლებოდა. ეგების ვინმეს ჰგონია, რომ ეს დაფები მართლაც და კედლების დამამშვენებელი ნივთებია.

კიდევ ერთი ფაქტიც: დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაფაზე ფრიადოსანთა სურათები კი არის გამოკრული, მაგრამ გაურკვეველია მათი ვინაობა—გვარი, სახელი, კურსი... მაშ რატომღა გამოაკრეს ეს სურათები დაფაზე, თუ მათი ვინაობის გასაიდუმლოება სურდათ.

არც ის ვარაუდია საფუძველს მოკლებული, რომ წლების წინათ დაფებზე ფრიადოსნებად გამოცხადებულ პირთა შორის ზოგმა შემდეგში ვეღარ შეინარჩუნა ეს საპატიო წოდება, დაფა კი მაინც დაჟინებით ამტკიცებს მათს ფრიადოსნობას. მეორე მხრით, ამ ხნის მანძილზე ყველა ფაკულტეტზე გამოვლინდნენ ახალი ფრიადოსნები, ღირსეული ახალგაზრდები. დაფებს კი არ სურთ გაგვაცნონ ისინი.

მაშ, თუ ყველაფერს ასე ფორმალობის სახე დაკრავს, რაღა საპატიონი არიან ეს დაფები?

იქნებ დასახელებული ფაკულტეტების ალკკ და პროფბიუროებმა გვიპასუხონ ამ კითხვაზე.

პ. კავსაძე

## ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში

კიდევ რამდენიმე დღე და პარტიული განათლების სისტემაში დაიწყება ახალი, 1959—1960 სასწავლო წელი.

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა და აქცევს კომუნისტების პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლების საქმეს, ძირითადად უკვე მზადაა ახალი სასწავლო წლის შესახვედრად. საფაკულტეტო ორგანიზაციებს დროულად მიეცათ სათანადო განმარტება ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მითითებათა შესაბამისად მუშაობის წარმართვისათვის. მიმდინარე წლის 22 სექტემბერს პარტიული კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო სისხლსავსე გახადა მთელი საბჭოთა ქვეყნის იდეური ცხოვრება. პარტიულ ორგანიზაციებს ახლა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები აქვთ პოლიტიკური განათლების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. ჩვენი უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმაც ახალი პირობების შესაბამისად ახლებურად დაგეგმა პარტიული განათლების სისტემის მუშაობა. მხედველობაშია მიღებული წარსული წლების ნაკლოვანებანი, კერძოდ ის ფაქტი, როცა პარტიული განათლების მთელი სისტემა ზოგჯერ სკკპ ისტორიის შესწავლამდე იყო დაყვანილი. თუ გავითვალისწინებთ სიახლეს, რომელიც პოლიტიკური განათლების სისტემას ახასიათებს ახალი სასწავლო წლიდან, უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის თავისებურება ისაა, რომ ჩვენთან არ იქმნება პოლიტსკოლები (როგორც ცნობილია, პოლიტსკოლები განკუთვნილია მათთვის, რომლებსაც პოლიტიკური ცოდნის მინიმუმი და საჭირო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება არა აქვთ). ამიტომ საჭიროა მთელი ყურადღება გადატანილ იქნას სკკპ ისტორიის ღრმა, დიფერენცირებულ შესწავლაზე. პარტიულ კომიტეტს სწორედ ამ მიმართებით აქვს დაგეგმილი მომავალი მუშაობა: პარტიული განათლების ქსელი დაკომპლექტებულია კომუნისტების სურვილისა და მომზადების დონის გათვალისწინებით. სულ უნივერსიტეტში იმუშავებს 9 თეორიული სემინარი, აქედან სკკპ ისტორიის შემსწავლელი—1, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი—1, საბუნებისმეტყველო ფილოსოფიის შემსწავლელი — 4, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი — 1, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების შემსწავლელი — 1 და ათეიზმის საკითხების შემსწავლელი—1. სულ სემინარებში გაერთიანებულია 266 ამხანაგი.

სემინარები შექმნილია ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, მექანიკა-მათემატიკისა და ქიმიის ფაკულტეტებთან, აგრეთვე სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან.

სტამბა-გამომცემლობის პარტიულ ორგანიზაციაში შეიქმნა სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელშიც ჩაბმულია 13 ამხანაგი.

გასულ სასწავლო წელთან შედარებით პარტიული განათლების ქსელში ფართოდ არიან ჩაბმული უპარტიო ამხანაგები, კომკავშირლები.

მომავალი სასწავლო წლიდან წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი განაცხადა 105 ამხანაგმა.

სემინარებისა და წრის ხელმძღვანელებად გამოყოფილია მოწინავე ამხანაგები.

მაღალ დონეზე სრული ორგანიზებულობით დავიწყოთ ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში და ყოველგვარად შევუწყოთ ხელი მასში ჩაბმულ კომუნისტებსა და უპარტიოებს თავიანთი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებაში—ეს არის ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საზრუნავი.

# სტუდენტები დაუზარებლად და ხალისით მუშაობდნენ

მეორედ, მაგრამ უანგარო წვლილი შეიტანეს ეკონომიური ფაკულტეტის I, II და III კურსის სტუდენტებმა ჩვენი ქალაქის მშენებლობებში. მათ წლევანდელ არდადეგებზე მთელი ივლისის თვე თბილისის მშენებლობებზე გაატარეს შრომით საქმიანობაში. თუ ჩაივლიდით ამ ხანებში პავლოვის ქუჩის დასაწყისში მდებარე 43-ბინიანი და აბრეშუმის ფაბრიკის საცხოვრებელი სახლის მშენებლობებზე, თქვენს ყურადღებას მიიპყრობდა ახალგაზრდების საქმიანი ფუსფუსი და დაუზარელი შრომა.

სტუდენტები დაუზარებლად და ხალისით ასრულებდნენ ყოველგვარ შავ სამუშაოს, იქნებოდა ეს ქვიშისა და ცემენტის შემზადება, ტრანსპორტის დატვირთვა-გადმოტვირთვა სამშენებლო მასალებით, ხელოსანთა მომსახურება თუ სხვა. სტუდენტებმა მალე აუღეს ალღო მშენებელ ოსტატებს. ისინი უკვე ოსტატის შეხსენების გარეშე სწრაფად და შეუცდომლად ხვდებოდნენ, თუ რა ესაჭიროებოდათ მათ—ცემენტი, აგური თუ სხვა რამე. ახალგაზრდების ენერგიით აღფრთოვანებული მშენებლებიც სწრაფად და მოუცდენლად უმატებდნენ აგურს აგურზე კედელიც სწრაფად იზრდებოდა.

ასე იყო ყოველდღე. მთელი თვე დილიდან საღამომდე კეთილსინდისიერ შრომასა და გარჯაში გაატარეს სტუდენტებმა, სიამაყის გრძნობით შეჰყურებდნენ ისინი თვის ბოლოს თავიანთი შრომის ნაყოფს, ლამაზად აზიდულ საცხოვრებელი სახლის კედლებს და გულით ლოცავდნენ მათს პირველ მდგმურებს. კმაყოფილი დარჩნენ სტუდენტები თავიანთი შრომით. კმაყოფილი დარჩნენ ისინი თავიანთი შრომის საფასურითაც. თითოეულმა მათგანმა საშუალოდ ყოველდღიური ანაზღაურებით 25 მანეთი მიიღო.

თავიანთი შრომითი საქმიანობით, სიბეჯითითა და გულმოდგინებით თავი გამოიჩინეს I კურსიდან: ვ. ჯამრიშვილმა, ნ. სალაძემ, გ. აბაშიძემ, კ. კახაძემ, ზ. გიგიაშვილმა, ნ. ბერაძემ, ა. ჩხიკვაძემ, დ. ცერცვაძემ, ე. მელიამ, ნ. ბერძენაძემ, ლ. ლაბახუამ, ვ. ვართანოვმა და სხვებმა. II და III კურსებიდან: ო. ლონდრიშვილმა, ი. ჭანუყვაძემ, ვ. მუხიგულაშვილმა, თ. ესაკიამ, ს. ლევიძემ, გ. ბედოიძემ, გ. გამსახურდიამ, გ. ლაბარტყავამ, ფ. მასხულიამ, ვ. ჩიკვაიძემ, ა. მანიამ, ო. გაბრიჭიძემ, მ. ჯანჯღავამ, ს. ციციაშვილმა და სხვებმა.

აღსანიშნავია აგრეთვე სტუდენტთა ხელმძღვანელების, ასისტენტ ე. ზაქარიაძისა და უფროს ლაბორანტ ხელაიას ენერგიულობა და სიბეჯითე დაკისრებული საქმის პირნათლად შესრულებაში. ისინი ყოველდღიურად თავს დასტრიალებდნენ სტუდენტებს მათს შრომით საქმიანობაში.

ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტთა კეთილსინდისიერი და თავდადებული საქმიანობა სამაგალითოდ და მისაბაძად იქნა შეფასებული გაზეთ „თბილისის" ფურცლებზე.

ბოლოს, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯანსაღ კოლექტივში გამოჩნდნენ ისეთი სტუდენტებიც, რომლებმაც ჩირქი მოსცხეს საკუთარ თავს, ჯგუფსა და მთელ კოლექტივს: მათ უღალატეს ამხანაგებს და თავი აარიდეს შრომით საქმიანობას. ასეთებია: პირველი კურსის სტუდენტები—ს. დიაკონიძე, ა. გაბარაშვილი, ე. წერეთელი, ნ. ტატულაშვილი, ჰ. ადეიშვილი, რ. გიგაური და ნ. ლილუაშვილი; მეორე კურსის სტუდენტები—გ. გრძელიძე, გ. მარიამიძე, ლ. შველიძე, ნ. სურგულაძე, კ. ბედუკაძე, გ. ომნაძე, ვ. ქოიავა; მესამე კურსის სტუდენტები—მ. დანელია, რ. ქოიავა, რ. ჩხიკვაძე, თ. გიორგობიანი, ს. ბუხაიძე, ს. სვანიძე, გ. ჩიჩუა, ლ. ახობაძე, დ. გორდაძე, ნ. ჯალაღანია, მ. კონიაშვილი, ა. მენთეშაშვილი, ჰ. პატარიძე და ი. მჟავანაძე.

გაკიცხვისა და სასჯელის ღირსია ამ სტუდენტების არაამხანაგური და კოლექტივისათვის შეუფერებელი მოქმედება.

ეკონომიური ფაკულტეტის კოლექტივი ყოველთვის ენთუზიაზმით იღებდა და მომავალშიაც მიიღებს აქტიურ მონაწილეობას ყველა ასეთ ღონისძიებებში.

ს. ჩხაიძე



⊙

ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები

ნარიყალა

ფოტო ა. ბენიამინოვისა

⊙

# კარგი თაოსნობა კარგად უნდა განხორციელდეს

ყოველ კოლექტივში, რომელიც ახლად იქმნება, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოწინავე, ინიციატორთა ჯგუფს, რომელიც შეეცდება გავლენა მოახდინოს დანარჩენ ამხანაგებზე. ამ ჯგუფზეა დამოკიდებული, თუ რა მიმართულებით წარმართავს კოლექტივის მუშაობას.

ჟურნალისტიკის განყოფილების პირველი კურსის სტუდენტები წარმოვადგენთ ერთ მთლიან კოლექტივს და ჩვენი ამოცანაა, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა ეს კოლექტივი იყოს რაც შეიძლება მჭიდრო, მეგობრული და მოქმედი.

ყოველგვარ თაოსნობას და ღონისძიებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ასეთი კოლექტივის შესაქმნელად მხოლოდ, რომ მოფიქრებულად ხორციელდებოდეს ეს ღონისძიებანი. ამას წინათ ჩვენს კურსზე ამხანაგების ერთი ჯგუფის ინიციატივით, რომელსაც ამხ. ჩაგუნავა ხელმძღვანელობდა, ჩატარდა კონკურსი საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებზე.

კონკურსმა ჩვენ დაგვანახა ზოგიერთი ამხანაგის შეხედულება ცხოვრებაზე, სწავლასა და შრომაზე. ამ მხრივ მან დადებითი როლი შეასრულა, მაგრამ საკითხავია, როგორ ჩატარდა თვითონ კონკურსი?—უნდა ითქვას, რომ არასწორად. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კონკურსის ჟიურში შედიოდნენ ის ამხანაგები, რომლებმაც ყველაზე მეტი ნაწარმოები თვითონ წარმოადგინეს. ამან აუცილებლად ცუდი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

კონკურსმა ისიც გვიჩვენა, რომ თითქმის ყველა სტუდენტი ფიქრობს მწერლად ან პოეტად გახდომას. რასაკვირველია, ჩვენ წერის წინააღმდეგი არა ვართ მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარია სწავლა. ზოგიერთი სტუდენტი კი ლექციების დროს ლექსებს კითხულობს. ჩვენგან სამშობლომ უნდა მიიღოს კარგი სპეციალისტები და ზოგიერთი ამხანაგის ასეთი გატაცება ლექსებით სარგებლობას ვერ მოგვიტანს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იყო პირველად იმით დაგვეწყო, თუ როგორ გვემუშავა წიგნზე, ვის რომელი საგანი უფრო უჭირს. როგორ უნდა დავეხმაროთ მას და სხვა.

ასეა თუ ისე კონკურსი მაინც ჩატარდა. ჩვენ გაგვაკვირვა წარმოდგენილ ნაწარმოებთა თემატიკის ერთფეროვნებამ. ლექსები მხოლოდ საკუთარ განცდებზე, რაღაც საფუძველს მოკლებული სევდა და მრავალჯერ ნახმარ—გაცვეთილი სიტყვების გამეორება,—აი, რა იყო დამახასიათებელი ავტორთა უმრავლესობისათვის. სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა ო. ცარციძის ლექსი—„სამანი";

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც საზღვარი იშლება ოცნებასა და სინამდვილეს შორის და მოდური სიტყვები: „მთვარე", „ღამე" და ა. შ. აღარ გამოგვადგება ჩვენი ჯანსაღი მისწრაფებების გამოსახატავად. თუ წერა შეგვიძლია, უნდა ვწეროთ ცხოვრებაზე, რომელიც ესოდენ საინტერესო, ესოდენ დიადი და ესოდენ შემოქმედებითია.

**გივი მოლაშხია,**
ჟურნალისტიკის განყოფილების
I კურსის სტუდენტი.

# ჩვენ გვმართებს გულმოდგინე სწავლა

გვქონდა ოცნება და გვქონდა წადილი. გვსურდა გავმხდარიყავით ის, რასაც ესოდენ ველოლიავებოდით მოწაფეობის ხანაში. აქ ამ კედლებთან მოგვყვა ვაზის სურნელი და დაზგის გრიალი.

წავიდა მღელვარე გამოცდებიც. ნერვიულობისაგან განიტვირთნენ გამარჯვებულნი. მრავალთათვის დაიწყო ახალი, უფრო მღელვარე, სილამაზითა და ძიებებით აღსავსე ხანა. ატარებდე საბჭოთა სტუდენტის სახელს—ეს ბევრს გვავალებს ჩვენ, და განსაკუთრებით ჩვენ, რომლებმაც პირველად შემოვადგით ფეხი უნივერსიტეტის ფართო კარებში. ვინ არ იცის, რომ მეცნიერების მწვერვალებისაკენ ძნელადსავალი ბილიკებია. ამ ბილიკებზე მხოლოდ ის აივლის, ვინც ამთავითვე გულმოდგინედ შეუდგება სწავლას. ყოველი გაცდენილი საათი დაკარგული ოქროს წუთები იქნება, რომელსაც ვერაფრით ვერ ავინაზღაურებთ.

ა ხ ა ლ მ ო ს უ ლ ე ბ ო — ხშირად ასე ამბობენ პირველკურსელებზე უფროსი კურსის სტუდენტები. არ ვედავებით. მაგრამ ჩვენ უკვე ისე შევიყვარეთ ამ რამდენიმე დღეში ცოდნის დიდი ტაძარი, რომ ხშირად, როცა ენა დუმს, გული ამბობს:—ჩვენი უნივერსიტეტი!

გვქონდა ოცნება და გვქონდა სურვილები. ავისრულეთ ოცნება და დავიკმაყოფილეთ სურვილები?!

ჩვენ გვმართებს გულმოდგინე შრომა და სწავლა, და რაც გვმართებს, მას ვალად ნუ გავიყოლებთ.

**ომარ ცარციძე,**
ჟურნალისტიკის განყოფილების
I კურსის სტუდენტი.

# უცნობი ფურცლები პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

პოლონეთ-საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას შორეული სათავეები მოეპოვება. პირველად მეგობრობის ხელი ქართველმა ხალხმა გაუწოდა პოლონეთს თათარ-მონღოლთა და თურქ-სპარსელთა შემოსევების ხანაში (XIV—XVII სს.). ქართველებმა დიდი ხანია გაიცნეს გმირი პოლონელი ხალხი და თარგმანების სახით გამოიყენეს მისი ლიტერატურული მიღწევა. ეს თარგმანები შესრულებულია ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სოლომონ გივის ძე რაზმაძე თარგმნიდა (1831 წ.). პოლონელი კლასიკოსის ადამ მიცკევიჩის (1798—1855) „ფარისს". საუკუნეების მანძილზე ატარებენ პოლონელი მწერლები ქართველი ხალხისადმი მეგობრობის გრძნობებს. ეს მეგობრობა არნახული სისწრაფით განვითარდა პოლონეთში სახალხო დემოკრატიული წყობილების გამარჯვების შემდეგ.

პოლონელები და ქართველები ერთმანეთს ხვდებიან ისტორიულ მოქმედებაში მე-15 საუკუნის გასულიდან, ხოლო ერთმანეთს ისინი საბოლოოდ გაეცნენ აღორძინების ხანაში (XVI—XVIII ს.); პოლონელმა მწერალმა კაზიმირ ლაფჩინსკიმ, რომელსაც საქართველოში მოუხდა გადმოსახლება, უკვე აღნიშნა, რომ ქართველებმა ბევრი იციან პოლონეთზე. „მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, — ამბობს ის,—მეფე ვახტანგმა თავის ისტორიაში გამოიყენა ზოგიერთი ცნობა ოთხი პოლშურის ისტორიიდან"; მართლაც, ვახტანგ მეექვსე (1675—1737) პირველი ქართველი მწერალი იყო, რომელმაც გადმოიღო პოლონური თხზულებანი. მისმა თანამშრომელმა ერასტი თურქესტანიშვილმა რუსულის მეშვეობით თარგმნა პოლონელი მწერლის ბენიაშა ბუდნის (XVII ს.) მიერ დამუშავებული „აპოთეგმათა" დიდაქტიკური კრებული. დავით გურამიშვილმა პირველად აახმიანა ქართულად „პოლშის სიმღერის ხმა" (ლექსი: „მეორე დავითის შესხმა") და ეს გულში ჩამწვდომი „პოლონური არია" გააცნო ქართველებს.

როგორც ვთქვით, ქართველები და პოლონელები ისტორიულ მოქმედებაში ერთმანეთს ხვდებიან XV საუკუნის გასულიდან. პოლონეთ-ლიტვის სახელი ფიგურირებულია სლავურ-რუსულ „ალექსანდრიანში", რომელიც ქართულად გადმოიღო პოეტმა არჩილმა (1647—1713).

ქართველ ისტორიკოსებს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილსა და პროფ. იასე ცინცაძეს გარკვეული აქვთ, რომ ქართველთა მეფე კონსტანტინე დიმიტრის-ძე 1495 წელს ესპანეთის დედოფალ იზაბელას უგზავნის თავის ელჩს, რომელსაც კორნელი რქმევია. ელჩს თან წაუღია კონსტანტინე მეფის წერილი, რომლის რუსული თარგმანი აღმოჩნდა ვარშავის ძველი აქტების არქივში. ამ წერილიდან ჩანს, რომ ქართველი ელჩი მოლაპარაკებას აწარმოებს პოლონეთის მეფე ალექსანდრე კაზიმირის-ძესთან (იგი ლიტვის დიდი მთავარი იყო) თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის. შექმნის თაობაზე. სამისო მასალები დიდი ხანია გამოქვეყნებულია.

პოლონელები უკვე გამოჩნდნენ მე-17 საუკუნის საქართველოში. აქვეა ნაპოვნი დასახელებული საუკუნის პირველი ათეულის პოლონური ფული (მონეტა). პოლონეთის მეფეს მიწერ-მოწერა ჰქონდა იმ დროის გურია-სამეგრელოს მთავრებთან. კაზაკთა იმ ჯგუფში, რომელიც შავი ზღვის სანაპიროებზე ჩანან და ქართულ რაზმებს უკავშირდებიან, ყოფილან პოლონელებიც (მაგალითად ვიწმე სტეპანე). თვით პოლონელთა აზრით, კაზაკთა ეს ჯგუფები, ისე როგორც ქართველები, საიმედო ძალას წარმოადგენდნენ თურქების წინააღმდეგ.

პოლონელი ელჩები საქართველოს გზით მიემგზავრებოდნენ აღმოსავლეთისაკენ. პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ მესამემ 1601 წელს სპარსეთს გაგზავნა ელჩი სეფერმურატოვიჩი, რომელიც წერს: „გეორგიელების (ე. ი. ქართველების) მეფის ალექსანდრეს სატახტო ქალაქ გრემში მივედითო". ერთ-ერთი პოლონელი ტყვეობიდან გამოუხსნია (1661 წ.) პოლონეთის ელჩს როტმისტრ ბოგდან გურჯეცკის, რომელიც საქართველოს გზით წასულა სპარსეთს და წარმოშობით ქართველი ყოფილა (გურჯეცკი—გურჯი—ქართველი). უკან გამობრუნებისას კი მას ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთის წერილი წაუღია პოლონეთის მეფე იან კაზიმირისათვის. როგორ მოხდა ქართველი კაცი მე-17 საუკუნის პოლონეთის ელჩად, ეს მომავალ კვლევა-ძიებას მოითხოვს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ გარსევან (გასპარ?) ქართველი, რომელიც ელჩად იყო გაგზავნილი ევროპაში და, სამუდამოდ მიიბარა ვარშავის მიწამ (1701 წ.).

პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობა მე-18 საუკუნეში ასახვას პოულობს როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ქართულ ძეგლებში. ქართველმა მწერალმა იონა გედევანიშვილმა აღნიშნული საუკუნის ბოლო წლებში ახლო აღმოსავლეთის და საბერძნეთის ქართული კულტურის ცენტრებში იმოგზაურა. იგი იძულებული გახდა ევროპაზე შემოვლით დაბრუნებულიყო სამშობლოში. მის მიერ მიღებული შთაბეჭდილებანი იონამ აღწერა წიგნში—„მიმოსვლა ანუ მგზავრობა", სადაც ის ამბობს: სამშობლოში დავბრუნდით —

„ნიაპოლ-იტალიით,
პოლონია-უნგრით,
იასით კიევ-რუსით".

იონას „მოგზაურობაში" (1852 წ. გამოც.) ცალკე თავი ეთმობა პოლონეთს („მიმოხილვა პოლშისა და სხვათა ქალაქებთა", გვ. 108—152). იონა დამეგობრებია და ახსენებს პოლონელ მოღვაწეებს, მაგალითად, ფელიქს პოტოცკის; გაუცვნია „პოლშის კავალერნი დიდკაცნი" მან მისი თვალით ნახა „პოლშის კეთილშობილნი უცხოთ დართულნი". იონა გედევანიშვილის შემდეგ პოლონეთში იმოგზაურეს ბატონიშვილებმა თეიმურაზმა (1782—1846) და გრიგოლმა (1789—1830). იონა პოლონეთს უწოდებს „ქვეყანას ლეხისასა, რომელ არს პოლშა ანუ პოლონია" (მოგზაურობა გვ. 128, 136).

ისე როგორც წინა საუკუნეებში, მე-18 საუკუნეში ქართველები ჩანან პოლონეთის ისტორიის ასპარეზზე. 1794 წელს ვარშავაში შევიდა რუსის ჯარი. ამ დროს თავი უსახელებია გამოჩენილ ქართველს მაკიციშვილს. „სუვოროვმან, ვარშავად მიმავალმან,—ნათქვამია ერთ-ერთ ქართულ ძეგლში,—ერთსა თვისთა ბრძანებასა შინა მისწერა მხედრობათა: „იბრძოდეთ გამომეტებით, ვითარცა იბრძვის ქართველი ციციანოვიო".

მე-18 საუკუნის მოსკოვ-პეტერბურგის თეატრებში მთავარ როლს ასრულებდნენ ქართველი სილოვან ზანდუკელი და მისი მეუღლე „ელისავეტა სიმონოვნა".

# უნივერსიტეტის შრომები 77

უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა უნივერსიტეტის „შრომების" 77-ე ტომი, რომელიც მთლიანად მიძღვნილია ისტორიულ მეცნიერებათა საკითხებისადმი.

„შრომების" ამ ტომში დაბეჭდილია შემდეგი გამოკვლევები: 1. ვ. კოპალიანი ბიზანტია—საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან; 2. ნ. ასათიანი, სააღგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI—XVII საუკუნის კახეთის სამეფოში; 3. დავით გვრიტიშვილი, თორნიკე ერისთავის შემოსავლის დავთარი (1822 წ.). 4. ო. ჯაფარიძე, დოლმენური კულტურა საქართველოში 5. ნ. ლომოური, რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I საუკუნეში; 6. იასონ ხუციშვილი, ქართველი მეომრები კავკასიის მოქმედ არმიაში; 7. ვ. კონოვალოვი, ამიერკავკასიის სფსრ მუშათა კლასის შრომითი აღმავლობა პირველ ხუთწლედში; 8. შ. ჰაჰუა, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ლენინური აგრარული პროგრამის განხორციელებისათვის (1903—1907 წწ.); 9. მ. ალექსიშვილი, არისტოტელე სახელმწიფოს არსისა და წარმოშობის შესახებ; 10. გ. კიღურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გამოძახილი გერმანიაში; 11. ილია ტაბაღუა, რუსეთ საფრანგეთის კავშირის შექმნა და მისი ისტორიული მნიშვნელობა; 12. იოსებ ჩიქავა, საბჭოთა რუსეთის ბრძოლა მშვიდობისათვის სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის პერიოდში 13. გ. კიკნაძე, ნ. კრუპსკაია მოზარდი თაობის ინტერნაციონალური აღზრდის შესახებ; 14. ალ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე; 15. აბ. კიკვიძე, მცირე შენიშვნა.

შრომების ამ ტომის სარედაქციო კოლეგიაში შედიან: მ. ალექსიშვილი, შ. ამირანაშვილი, დ. გვრიტიშვილი, (რედაქტორი), ლ. გორგილაძე, ნ. ლომოური, შ. მესხია, ი. ტაბაღუა (მდივანი), ზ. შველიძე, ი. ხუციშვილი.

წიგნი შეიცავს 392 გვერდს. ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 18 მან.

# ჩვენი ახალგაზრდა მწერალთა წრე და მისი ამოცანები

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე ათი წლის წინათ დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი პოპულარობა და სიყვარული მოიხვეჭა, რაც კარგად დადასტურდა წრის არსებობიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე.

ეს თარიღი ძვირფასი იყო წრის ძველი თუ დღევანდელი წევრებისათვის. ძვირფასი იყო აგრეთვე ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის მომავალი ბედიღბლით დაინტერესებლი ადამიანებისთვისაც. ასეთები კი მრავალნი არიან.

მაინც რით დაიმსახურა წრემ საყოველთაო აღიარება? უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ წრის ხელმძღვანელები, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბესარიონ ჟღენტი და დოც. ტარიელ კვანჭილაშვილი, ყოველთვის ცდილობდნენ გულისხმიერი დამოკიდებულება დაემყარებინათ მწერლობისაკენ მოწოდებულ ახალგაზრდებთან.

შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ჩვენი წრის მზრუნველობით მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ შეაღო დიდი ლიტერატურის კარები, მოწონება დაიმსახურა და ამჟამად ბევრი მათგანი მომავლის საიმედო ძალად გვევლინება.

ნიჭიერი ახალგაზრდობის მთელმა თაობებმა შექმნეს ის კარგი ტრადიციები, რომლითაც ამაყობს დღეს ჩვენი წრე. აქამდე გამოცემული ექვსი ტომი ალმანახ „პირველი სხივისა" ამ დიდი ტრადიციებისა და მძიმე შრომის ნაყოფია.

ამ ზაფხულს ჩვენი წრის მუშაობის საკითხი ხელმძღვანელობისა და მისი აქტიური წევრების თანდასწრებით განიხილა საქ. ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ. ბიუროზე აღინიშნა ის დიდი და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა, რასაც ეწევა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე. მიგვითითეს აგრეთვე ნაკლოვანებებზე, რაც ჯერ კიდევ გააჩნია ჩვენს წრეს. საქ. ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტმა აღგვითქვა ყოველგვარი დახმარება წრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში. თბილისის კომიტეტმა წრის არსებობიდან 10 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო სიგელებით დააჯილდოვა წრის ყოფილი და ახალი აქტიური წევრები.

უფრო გვიან ჩვენი წრის საქმიანობაზე, თბილისის ახალგაზრდა შემოქმედთა ორგანიზაციების მუშაობაზე მსჯელობასთან ერთად, იმსჯელა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ. ბიურომ გამოიტანა დადგენილება, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრისა და მისი ორგანოს — ალმანახ „პირველი სხივის" გარკვეული როლი ქართული ლიტერატურისათვის ახალგაზრდა კადრების აღზრდა-დაოსტატების საქმეში. დადგენილებაში მითითებულია ჩვენი წრის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, რაც, უმეტესად, ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის მიერ უიდეო, უსიცოცხლო და არაფრის მთქმელი ნაწარმოებების წერაში გამოიხატება.

ზემდგომი ორგანოების ასეთი დაინტერესება ჩვენი წრის საქმიანობით და ასეთი დიდი ყურადღება გვავალებს კიდევ უფრო განვუმტკიცოთ ჩვენს წრეს ქართული ლიტერატურის ახალგაზრდა კადრების სამჭედლოს პოპულარული სახელი, რომელიც მან ჭეშმარიტად დაიმსახურა.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

უნივერსიტეტს და, ბუნებრივია, ჩვენს წრესაც ახალი ,ნიჭიერი ცვლა შემოემატა. წრის კარება, როგორც ყოველთვის, ახლაც ფართოდაა ღია მათთვის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი: — ვალდებული ვართ დავიცვათ და განვავითაროთ ის კარგი, რაც ჩვენს წრეში წლების მანძილზე დანერგილა. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ლიტერატურა შემთხვევით ადამიანებს ვერ აიტანს და ამიტომ, რაიმე სერიოზული შედეგი ლიტერატურაში მხოლოდ სისტემატური შრომით მიიღწევა.

რას ვაპირებთ მომავალში?

უპირველეს ყოვლისა, უნდა მომზადდეს მეშვიდე ტომი „პირველი სხივისა". მასში დაისტამბება როგორც „ძველ გვარდიელთა" ნაწარმოებები, ისე ყველაფერი ღირსეული, რასაც ჩვენი ახალბედა მეგობრები მოგვაწვდიან.

„პირველი სხივისათვის" წარმოდგენილი ყველა მასალა წინასწარ განხილული იქნება წრის სხდომებზე, რომელიც რეგულარულად ჩატარდება ყოველ კვირაში.

უნივერსიტეტის გაზეთი სისტემატურად გამოაქვეყნებს ვრცელ ანგარიშს ჩვენი წრის სხდომების მიმდინარეობის შესახებ .

ამასთან, წრის გამგეობას დაგეგმილი აქვს ექსკურსიები მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და სხვაგან, რაც ადგილობრივი ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით განხორციელდება.

ასეთია გეგმები. გეგმები კი, რეალობად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა წრის თვითეული წევრი, გამგეობასთან ერთად, ეცდება წრეში საქმიანი და მხოლოდ საქმიანი დამოკიდებულება დაამყაროს.

**თეიმურაზ მაღლაფერიძე,**
ახალგაზრდა მწერალთა წრის გამგეობის წევრი.

# ორჯონიკიძეში



ამჯერად ჩვენი საექსკურსიო სამზადისი სამ დღეში მოთავდა.

ექვს საათზე დაბარებულები ყველანი ზუსტად რვაზე მოვგროვდით და ცხრისნახევარზე ჩვენი ავტობუსი ქალაქიდან გავიდა. დილა კარგ ამინდს გვპირდება, უთუოდ მზიანი უნდა იყოს. ყველას თან გვაქვს ექსკურსიის უცილობელი ატრიბუტები—ღიმილი და კარგი განწყობილება.

ორ საათში ანანურში ავედით. აქ კი უთუოდ უნდა გავჩერდეთ. პატარა აღმართი და... ჩვენ უკვე ერთ-ერთი ძველი, თალმაღალი ციხე-ეკლესიის ეზოში ვართ. ვათვალიერბთ ანანურის ბევრნანახ კედლებს და რაღაც სიამაყით ვივსებით... დრო არ ითმენს, სინანულით ვეთხოვებით ანანურს და... წინ ისევ გზაა...

ფასანაურიდან უკვე გადასასვლელი იწყება. ეს ულამაზესია ყველა იმ გზათა შორის, რომლებიც კი საერთოდ მინახავს. ზევით ღრუბლები და მთები დაცურავენ. მთებია ჩვენს ქვევითაც. ჰაერი ცისფერია და გამჭვირვალე. აქ ყველაფერში სილამაზეა და სიმშვენიერე.

მეორეჯერ შეჩერებამ ნარზანთან მოგვიწია. საოცარი სანახაობაა. ამდენ მწვანესა და კლდისფერში წყალს ერთი ადგილი ჟანგისფრად უქცევია და მთაზე დამდგარი მზე სრიალებს თითქოს. გზა კი ლამაზიცაა და საშიშარიც — ძნელად სავალი. ჩვენამდე თერგის ღმუილიც ძლივს აღწევს, ვიღაცას ახსენდება:

„დარიალის კლდეთა უბეში
აფთარივით ღმუის თერგი"

თვალის ჩაწვდენამდე უფსკრულია. გრეტა გიორგობიანი აღგა და გამოაცხადა: დედისერთა ვარო. დედისერთები კიდევ ბევრი აღმოჩნდა...

ყაზბეგამდე გზა ჩქარა გაილია. ვჩერდებით. აქ კი დიდი მწერლის სახლს უნდა ვესტუმროთ ალ. ყაზბეგის სახლში (ამჟამად აქ ყაზბეგის ეთნოგრაფიული მუზეუმია) მწერლის ცხოვრების ამსახველი მასალები დავათვალიერეთ. გვწყინს, რომ მასალები, მწერლის საოცრად მდიდარი და თავისებური ცხოვრებიდან, მეტად ღარიბია, საწყენია, რომ მუზეუმს ერთი სართული მაინც არა აქვს დათმობილი სრულად. ეზოში მწერლის საფლავია. შევყურებთ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ქვას საფლავისას და მიწას.

მდუმარედ ვცილდებით სახლს.

ყაზბეგიდანაც მალე გავედით.

გზა გარბის, გარბის უკვე ჩქარა და თანდათანობით გვაახლოვებს ჩვენი ექსკურსიის საბოლოო მიზანს—ქ. ორჯონიკიძეს. შორიდან ნისლში რაღაც სილუეტები იხაზება, სულ ცოტაც და... ჩვენ ორჯონიკიძეში შევდივართ. წვიმს. ფანჯრებიდან ვესალმებით უცნობ ქალაქს და გაკვირვებულ გამვლელებს. თავშესაფარი ახლა ჩვენი ერთადერთი საზრუნავია. ყველანი ვრჩებით მანქანაში და ჩვენთვის აქამდე უცნობი ქალაქის მიწაზე, წვიმაში, პირველად ფეხს ადგამს ექსკურსიის ხელმძღვანელი, უფროსი მასწავლებელი ოთარ ურიდია. რომელიც ჩვენთვის ბინის საშოვნელად მიემართება. ჩვენ—კი მანქანაში დავრჩით და სანამ ხელმძღვანელი დაბრუნდებოდა, ორი საათის განმავლობაში კარგად გავერთეთ: ცეკვა (ავტობუსში!) თამაში, რადიომიმღები და მაგული ხურცია.

მალე ხელმძღვანელი დაბრუნდა და სასტუმროში ბინის შოვნა მოგვახარა. სასწრაფოდ დავნაწილდით, შევბარგდით და 10 წუთის შემდეგ სასტუმროს გართობის ოთახი პიანინოს ხმებით აივსო. არავის უშლის ხელს დაღლილობა და ინსტრუმენტის სიძველე. გრეტა გიორგობიანი მთელი საღამოს განმავლობაში პიანინოს მოთმინებით გვიწევდა აკომპანიატორის როლს. ბოლოს, როგორც იქნა, დავიძალეთ (უკეთ რომ ვთქვათ, დაგვძალეს).

მეორე დილა მზით გათენდა—გამოვედით ქალაქში გვსიამოვნებს სინათლე და სიგრილე. აქ უამრავი სიმწვანეა და ხეებს იქით სახლები ძლივს მოჩანან. დავათვალიერეთ სახელმწიფო თეატრის შენობა, მწერალთა სახლი და ვნახეთ პარკები. აქ თითქმის ყველა დიდ ქუჩაზე პარკია. ხეტიალში დრომ ჩქარა გაირბინა—ერთი დღე კიდევ რომ ყოფილიყო ჩვენს განკარგულებაში, შესაძლებლობა გვექნებოდა გვენახულა მწერალთა კავშირი, ინსტიტუტები (დასვენების დღე იყო!). 3 საათზე დავემშვიდობეთ ქალაქს და გზას გავუდექით. დაიწყო ისევ აღმართები. აცივდა. ჩვენს ირგვლივ ნისლია. ძნისფერშია გახვეული ყოველი. გადასასვლელის ყველაზე მაღალ ადგილას ვჩერდებით და მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში ვგუნდაობთ. ორიგინალურმა ფილოლოგებმა თერმოსებიდან წყალი გადაღვარეს და თოვლი თბილისში ჩამოიტანეს.

ისევ გზა... კიდევ ერთგან შეჩერება. მანანა აბულაძესა და ელზა დოკვაძეს წითელფოთლებიანი იელის ტოტები ამოაქვთ და ყველას გვირიგებენ.

ახლა კი მთელი სიჩქარით თბილისისაკენ. ავტობუსი გაურკვეველი ხმების ყუთს დაემსგავსა. ბოლოსდაბოლოს ჩვენი ექსკურსიის ყველაზე სიმპათიური ბარიტონი—გოგი ჩიქოვანი—ტენორად გადაიქცა და იდეური ხელმძღვანელი ზაურ მეძველიაც ამღერდა. ვიხსენებთ გრამატიკას, კუდებს, მაგული ხურციას გამოულევლ ავადმყოფობებს და ამ ამბით ვასრულებთ გზას.

ინიციატივიანი ლია ჯანყარაშვილი, კარგი კურსი, მისი საუკეთესო ხელმძღვანელი ოთარ ურიდია, ჩვენი კურსის გულშემატკივარი ლაბორანტები—ლია ჰეიშვილი და ლილი ბარამიძე და მეტი რაღა უნდა კარგ ექსკურსიას?—არაფერი!

**ც. იაშვილი.**

რომელიც იყო „პოლშის აზნაური ქალი". ქართველი მწერალი გაბრიელ რატიშვილი, რომელიც 1800-იან წლებში რუსეთში მოხვდა, ქებით მოიხსენიებს ზანდუკელს („რა.ცნა ჩვენი ქართველობა, მან შეგვიტკბო ვითა თვისი) და მის მეუღლეს—პოლონელ ელიზავეტას. გ. რატიშვილი პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც პოეტურ სახეებში შეამკო პოლონელი ქალი:

აწ იგი ქალი,
გულ ბროლ-ფიქალი,
შემხედთა თვისთა დამატკბობელი...

ქართველი პოეტის წარმოდგენით ის არის „ფერად ლალი", „რიტორად ბაასობელი", „სიმღერითა ტკბილათ მხმობელი"...

ფართო ადგილი ეთმობა პოლონეთს მე-18 საუკუნის ნათარგმნ სამოგზაურო—გეოგრაფიულ ლიტერატურაში. ზოგი ამ თარგმანის წყარო პოლონურ მწერლობაში დაიძებნება. პოლონელ მწერალს ნიკოლოზ ქრისტეფორეს-ძე რაძივილას (1549—1616 წწ.) შეუსრულებია მოგზაურობა ქრისტიანულ აღმოსავლეთის ცენტრებში. მას საგანგებოდ აღუწერია ქართველთა „ჯვარის მონასტერი" იერუსალიმის ახლოს (1582 წ.).

„მოგზაურობის" ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება, ქართულად გადმოუღია (1191 წ.) თელავის სემინარის რექტორს გაიოზ თაყას-ძე ბარათაშვილს. რაძივილას მოგზაურობისას ქართველთა „ჯვარის" წინამძღვრად ქართველი ყოფილა. მას დიდი პატივით მიუღია პოლონელი მოგზაური და გამასპინძლებია ქართული ჩვეულებისამებრ: „მოგვართვა ჩვენ ზეთისხილი და ხმელი პურიც"—წერს რაძივალა. მრავალმხრივ საინტერესოა რაძივილას ცნობები. ჩვენ დღემდე ზუსტად არ ვიცით, რომელ წლებში იყვნენ ქართველები მათი კუთვნილი ჯვარის მონასტრის წინამძღვრად. უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ რაძივილა პირველი პოლონელი მწერალია, რომელმაც საქართველო აგვიწერა. ეს ფაქტი დღემდე არ ყოფილა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში.

გაიოზ თაყას-ძე ბარათაშვილს აგრეთვე რუსულის მეშვეობით გადმოუღია „სამგზავრო გეოგრაფია", სადაც, ჩვეულებისამებრ, პოლონეთს დამოუკიდებელი სათაური ეძლევა — („პოლშისათვის"). იგივე ნაწარმოები შემდეგში ხელახლა უთარგმნია დავით ბატონიშვილსაც (1767—1819 წწ.). მსოფლიო გეოგრაფიის შედარებით ძველი სახელმძღვანელო ყველაზე ადრე გადმოიღო (1752 წ.) ვახუშტი ბატონიშვილმა. წიგნს დართული აქვს პოლონეთის ლათინური სახელწოდებანი („პოლონია მინორ", „ვარსოვია"—ვარშავა). კრაკოვი ძველი სატახტო ქალაქია პოლონეთისაო, აღნიშნულია თარგმანში. გეოგრაფიულ აღწერილობებში პოლონეთის სოციალურ ცხოვრებაზეცაა საუბარი. შლიახტა ეს არის „მექონი აზნაურისა პატივისაო", ნათქვამია ერთ-ერთ ნათარგმნ გეოგრაფიაში.

პოლონეთის შესახებ ისტორიული ცნობები თავს იჩენს ე. წ. გარდამავალი ხანის მთელ რიგ თხზულებებში. ასე, მაგალითად, ბაგრატ ბატონიშვილი თავის მოთხრობაში (1941 წ. გამოც.) მოგვითხრობს ნაპოლეონის ლაშქრობაზე პოლონეთში.

აღნიშნული ეპოქის ქართველი პოეტები ქებას უძღვნიან იმ ქართველებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს რუსეთის პირველ სამამულო ომში (1812 წ.). ერთი მათგანი აღნიშნავს რომ, თქვენი ქება გაისმის ევროპასა და პოლშის ველებზეო (ბ. ორბელიანი). ქართველ მწერალს იონა ხელაშვილს თავის „გოდებაში" (1831 წ.) ჩაურთავს მოთხრობა „ამბოხებისათვის", რომელშიაც პოლონეთის 1834 წლის აჯანყებას გულისხმობენ (აკად. კ. კეკელიძე).

1800-იანი წლების ქართულ ნათარგმნ სამეცნიერო-ტექნიკურ წიგნებში ნახსენებია რენესანსის ეპოქის დიდი პოლონელი ასტრონომი, ჰელიოცენტრიზმის შემქნელი ნიკოლოზ კოპერნიკი (1473—1543). ამგვარად, ქართველებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა მიცკევიჩის წინა ეპოქის პოლონეთი, ხოლო პოლონელმა მწერლებმა და მოღვაწეებმა ადრეულ საუკუნეებში, სახელდობრ, ევროპული დიდი რენესანსის (მე-16—მე-17 საუკ.) დასაწყისში გაიცნეს საქართველო.

დოც. **ტ. რუხაძე.**

(გაგრძელება იქნება).



ჩვენი უნივერსიტეტის მეორე კორპუსი.

ფოტო შ. ჯოჯუასი

## ახალი წიგნები

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და ბაზარზე იყიდება შემდეგი წიგნები:

**ბ. ბალავაძე**, გრავიმეტრიის კურსი. რედაქტორი პროფ. მ. ცირიანაშვილი. წიგნი შეიცავს 340 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 10 მან.

**დავით კობიძე**, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები. რედაქტორი ალ. ბარამიძე. წიგნი შეიცავს 288 გვერდს, ჩასმულია ლედერინის ყდაში და ღირს 16 მან.

*А. Лежава*, **Сравнительнй и экспериментальный анализ строения переходного эпителия мочеотводящих путей.** წიგნი, რომლის რედაქტორია ა. ჯორბენაძე, შეიცავს 200 გვერდს, ჩასმულია ლედერინის ყდაში და ღირს 12 მან და 85 კაპ.

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის შრომები. 3. **фонетический сборник. I.** წიგნი, რომლის რედაქტორები არიან ვ. არტემოვი და ს. ქლენტი, შეიცავს 448 გვერდს, ჩასმულია ლედერინის ყდაში და ღირს 16 მან.

**ა. ვარდუკაძე**, კოლოიდური ქიმიის პრაქტიკუმი. წიგნი, რომლის რედაქტორია შ. შარაშენიძე, შეიცავს 320 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 9 მან და 55 კაპ.

## საინტერესო თემაზე

### შოკოლადის ხე

„შოკოლადის ხე აღმოაჩინეს ევროპელებმა 1516 წელს, მექსიკაში. მექსიკის დამპყრობლებმა შეამჩნიეს, რომ ადგილობრივი ინდიელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რაღაც თესლს, რომელიც მათთან ფულის მაგივრობას ეწეოდა. ამ თესლიდან ინდიელები ამზადებდნენ ერთგვარ სასმელს, რომელსაც „ჩოკოატლს". ე. ი. მწარე წყალს უწოდებდნენ. ეს იყო კაკაოს თესლისაგან დამზადებული სასმელი.

ინდიელები ჩოკოატლს სვამდნენ წიწაკით ან ვანილით, უთაფლოდ და, ცხადია, უშაქროდ. მიუხედავად იმისა, რომ ჩოკოატლი ძალზე მწარე იყო, მან ევროპელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მექსიკის დამპყრობი ფერნანდო კორტეცი ესპანეთის მეფეს სწერდა: „ამ ძვირფასი სასმელის ერთი ჭიქა საკმარისია იმისათვის, რომ ლაშქრობის დროს ადამიანი მთელი დღის განმავლობაში მხნედ გამოიყურებოდეს".

მალე კაკაოს თესლის გატანა დაიწყეს ესპანეთში და მისგან კაკაოსა და შოკოლადს ამზადებდნენ. ბოტანიკოსმა კარლ ლინეიმ „შოკოლადის ხეს" მისცა მეცნიერული სახელი „თეობრომა კაკაო", ე. ი. ღვთის სასმელი. აცტეკები კი თავის სასმელს უწოდებდნენ კაკახუატლს, საიდანაც წარმოდგა მისი თანამედროვე სახელწოდება—კაკაო.

ძველი ქართველები არ იცნობდნენ შოკოლადს, იგი რუსეთიდან შემოსულა XIX საუკუნის შუა წლებში. სამაგიეროდ შოკოლადის არსებობა იცოდა სულხან-საბა ორბელიანმა, რომელიც თავის ცნობილ „სიტყვის კონაში" წერს: „ბაი კერკი და ბაი ამერიკას ხილნი არიან ჩოკოლატას შესამზადებელი".

დოც. **გრ. ზარდალიშვილი.**

### ნილოსის „საცოლე"

ეგვიპტე — მსოფლიო კულტურის ეს უძველესი კერა, „ათას ერთი ღამის" ზღაპრებივით მიმზიდველი და საინტერესო ქვეყანაა.

თეთრი და წითელი, მწვანე და ცისფერი ნილოსი, ერთმანეთში არეული, შამპანურივით მოედინება ეგვიპტის მიწაზე. და მართლაც, შამპანურივით სასიამოვნო დასალევიცაა ნილოსის წყალი. არაბების თქმით, მათს წინასწარმეტყველს, მაჰმადს ნილოსის წყალი რომ ესვა, უკვდავი იქნებოდა. თურმე თურქეთის ზოგიერთი სულთანი მხოლოდ ნილოსის წყალს სვამდა. მდინარე ნილოსი არა ჰგავს სხვა მდინარეებსო, — ამბობდა ჰეროდოტე. მართლაც არა ჰგავდა იგი სხვა მდინარეებს. არცერთ მდინარეს არ მიუღია იმდენი მსხვერპლი, რამდენიც ნილოსს.

ჩრდილო და აღმოსავლეთ აფრიკის ქვიშიან უდაბნოებში ჩაჭედილი, ნილოსით მორწყული ეგვიპტის მიწა თითქოს გიგანტური ოაზისია. ივნისში, როცა აბისინიის (ეთიოპიის) მთებში თოვლი დნება, ნილოსი იწყებს ადიდებას. თეთრი ნილოსი მოედინება ტროპიკული მცენარეებით მდიდარ მიწაზე და მოაქვს მასაზრდოებელი შლამი, ცისფერ ნილოსს კი—მინერალური შლამი. ყოველივე ეს უზრუნველყოფს უხვ მოსავალს.

ძველ დროში, როდესაც ადამიანის გონება ბუნების ტყვეობაში იმყოფებოდა და რელიგიური ცრურწმენებით იყო შებოჭილი, ეგვიპტელებმა არ იცოდნენ მდინარის ადიდების ნამდვილი მიზეზი. ამ მოვლენას ღვთაებრივ ძალას მიაწერდნენ.

უნილოსოდ ეგვიპტელები შიმშილით დაიხოცებოდნენ, უდაბნოს მსხვერპლი გახდებოდნენ და ამიტომ მათთვის ნილოსი ყველაფერი იყო: მფარველიც, პურიც, სიცოცხლეც და მეგობარიც. ისინი ქება-დიდებას ასხამდნენ ნილოსს, რომელიც ეგვიპტელებისათვის სალოცავ ღმერთ ჰაპიდ გადაიქცა.

ტაძრებში ღმერთი ჰაპი ადამიანის სახით ჰყავდათ გამოყვანილი. მას ერთ ხელში ნაყოფი ეჭირა, მეორეში პაპირუსი, თავზე ლოტოსის ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინი ედგა.

როცა ნილოსი ადიდებას იწყებდა, ეგვიპტის ყოველ სოფელს ადამიანის მსხვერპლი უნდა შეეწირა მისთვის. მსხვერპლი უსათუოდ ახალგაზრდა ქალი უნდა ყოფილიყო. სამსხვერპლოს მორთავდნენ საზეიმოდ, შეამკობდნენ ყვავილების გვირგვინით და ნილოსთან ბრძოლის უნარი რომ წართმეოდა, გააბრუებდნენ წამლებით. ამის შემდეგ ქურუმის წინამძღოლობით მიადგებოდნენ ნილოსის ნაპირს. ქურუმი პირქვე დამხობილი იწყებდა ნილოსის ქება-დიდებას, ხალხი კი იმეორებდა მის სიტყვებს. ქალები ამ დროს სამსხვერპლოს გარშემო ცეკვავდნენ, ართობდნენ მას და ეთხოვებოდნენ.

როცა ლოცვას მორჩებოდნენ, ქურუმის ბრძანებით, აიტაცებდნენ ქალს ხელში, ასწევდნენ რაც შეიძლება მაღლა და აგდებდნენ ნილოსში შემდეგი სიტყვებით: „ნილოს, ჩვენო ბრწყინვალე ღმერთო, მიიღე ეს შენი საცოლე და მოგვეც ჩვენ სიცოცხლე და ბედნიერება". თუ „საცოლე" დაიმალებოდა ნილოსის ტალღებში, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნილოსმა მიიღო მსხვერპლი და, მაშასადამე, ეგვიპტელებს ამ წელს კარგი მოსავალი ექნებოდათ.

**ანზორ სიხარულიძე,**
ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

## უცხოური პოეზიის ფურცლები

### უნგრული ხალხური პოეზიიდან

### გასამრჯელო

ბალატონზე ბანაობდა სამი ქალი,
მაგრამ უცებ ამოვარდა დიდი ქარი
და იმ ქალებს შეეშინდათ.
წყალში შევედ,
მკლავი დავკარ ტალღის სისქეს
და სამივე წავიყვანე ნაპირისკენ,
ფრთხილად, მშვიდად...
ერთი იყო ქალბატონი, ტანწერწეტა,
ერთი იყო მღვდლის ასული,
სავსემკერდა,
მესამე კი—გლეხის შვილი.
ერთი ამბობს,
რომ მიყიდის ძვირფას ჩექმებს,
ერთი ამბობს,
რომ ილოცებს მუდამ ჩემზე.
მესამე კი შემომცინის.
სხვისი ლოცვა და ჩექმები
მე რად მინდა,
მე მესამის გაცინებამ მიმიზიდა
და მივუჯექ გვერდზე, ცოცხლად.
მერე დიდხანს ვეთამაშეთ
მღვრიე ტალღას,
და როდესაც ცა ბინდბუნდით
დაითალხა,
გასამრჯელოდ მერგო კოცნა.

### მთვარე

პაემანზე წასვლის დროს
მიყვარს მთვარე ქათქათა —
ბილიკს მივდევ ადვილად.
მაგრამ სატრფოს კოცნის დროს
უცბად თუ დამანათა,
გამაწითლებს ნამდვილად.

### ჰინკა

რა ვქნა, რა ვქნა, არ ვიცი;
გული თრთის და კანკალებს;
ბაღში მელის ძვირფასი,
ღამე კი უმთვაროა.
თან, დიდედაც კვლავ მიშლის
ღამე გარეთ ხეტიალს
ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს
და თუ ჩუმად გავცილდები ჰიშკარსა,
უსათუოდ წავაწყდები ჰინკასა.
ჰინკა თურმე ღამით ქალებს იპარავს.
ოი, თურმე იპარავს!
როცა სატრფოს ვაშლის ქვეშ
მოსწყინდება ლოდინი,
აქ მოვა და ფანჯარას
ფრთხილად დამიკაკუნებს,
წამოვხტები მაშინვე:
დიდედას ეძინება,
ჰინკაც ვერ შემაშინებს;
გადავირბენ ეზოს შიშველ ფეხებით
და საყვარელს ყელზე შემოვეხვევი,
ჰინკას არ დამანებებს,
გულში მაგრად ჩამიკრავს.
ოი, მაგრად ჩამიკრავს!

### ცეცხლი ტყის პირას

ღამე დასწოლია ფიჭვებსა და ნაძვებს,
ულრუბლო ცისქვეშ ცივა.
ვისია, ტყისპირას
ცეცხლი რომ ანათებს,
ვინაა, ცეცხლთან რომ სძინავს?
ის ქურდი არა ჩანს, —
ქურდს ძილი აშინებს
და შუქს თავს არიდებს მუდამ.
ეს არც ბატონია, ბატონად გაჩენილს
თივთიკის საწოლი უდგას.
იგი ტყის მჭრელია —
დღე ხეებს აქცევდა
და სძინავს მშვიდად, გულახდით.
— თუ გცივა, შენც მიდი
და გათბი მაგ ცეცხლთან,
ნუ კი გააღვიძებ დაღლილს!..

გადმოაქართულა **გ. წიბახაშვილმა.**

## იუმორი




ნახ. **რ. გაბრიაძისა.**

## სპორტის ამბები

### ღირსეული გამარჯვება

სამ დღეს გრძელდებოდა ნატახტრის გზატკეცილზე 1959 წლის პირველობა ველოსპორტში საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა შორის. მასში მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზკულტურისა და სხვა ინსტიტუტების გუნდები.

შეჯიბრების პირველ დღეს, 15 სექტემბერს, სტარტი მიეცა ინდივიდუალურ რბოლას 20 კილომეტრზე ქალთათვის და 50 კმ-ზე ვაჟთათვის. სტარტიდანვე ცნობილი გახდა, რომ ბრძოლა პირველობისათვის არსებითად პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდებს შორის გაიმართებოდა. ქალთა შორის გაიმარჯვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა, მეორე ადგილზე კი გამოვიდნენ ჩვენი ველოსიპედისტები. სიტყვა ვაჟებს ეკუთვნოდათ. რბოლა 50 კმ-ზე ვაჟთათვის მძაფრი და დაძაბული გამოდგა. ეს მანძილი ჩვენი გუნდიდან პირველმა დაჰფარა ს. ჯაველიძემ, რომლის დროა 1,24:54 წამი. გუნდური პირველი ადგილიც ჩვენს ვაჟებს ხვდათ წილად.

შეჯიბრების მეორე დღეს გათვალისწინებული იყო გუნდური რბოლა 25 კმ-ზე ქალებისათვის და 50 კმ-ზე ვაჟებისათვის. უნივერსიტეტის ქალთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კლიმენკო, მაილოვა, ელიზაროვა და პადოლსკაია, არ უღალატა წინა დღის „ტრადიციას" და პირველობა კვლავ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს დაუთმო. სამაგიეროდ არც ვაჟებმა უღალატეს თავის „ტრადიციას" და კვლავ გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს გუნდს (გეგეჭკორი, მამაიაშვილი, მესხი და იმნაძე) შეემთხვა ავარია, დაიკარგა ძვირფასი წუთები, მაგრამ ურყევმა რწმენამ გამარჯვებისათვის თავისი გაიტანა: ჩვენმა გუნდმა დისტანციაზე აანაზღაურა დაკარგული დრო და პირველი ადგილი დაიკავა.

უკანასკნელ დღეს სტარტი მიეცა ჯგუფურ რბოლას 50 კმ-ზე ქალთათვის. ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კლიმენკომ და გუნდური პირველი ადგილიც ჩვენმა ქალებმა აიღეს. მაგრამ ამ დღეს 100 კილომეტრიან დისტანციაზე მოისუსტეს ვაჟებმა და პირველობა სხვას დაუთმეს.

ამრიგად, სამი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ უნივერსიტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდმა (მწვრთნელი ვ. ჯონჯოლიანი) საერთო პირველი ადგილი და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების 1959 წლის ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვა. ჩვენს გუნდს გადაეცა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თასი და გარდამავალი პრიზი.

**კ. ზაუტაშვილი.**
ფიზაღზრდის კათედრის გამგე.

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე.**


რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 2000. უე 03691